ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 282

11 სექტემბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტარას კვარაცხელიას ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის ტარას კვარაცხელიას სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ჩუღურეთის რაიონში, ტარას კვარაცხელიას ქუჩასთან მდებარე ორ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ტარას კვარაცხელიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


1:1,300
X=486747 Y=4620008
X=486728 Y=4619985
III შეს.
II შეს.
X=486862 Y=4619889
X=486842 Y=4619873